



სეტრე ზბერიელი (ფსევდო-ბიონისე ცრეოპაგელი)

ზეცათა გლეღლთ-მთავრობისათუს*

HERI THE OVRANIAS IERARΧIAS

ტავი ა:

ზითაროვე ყოველივე საჯაროო გამოწვევისა მა სახით გამოისახათ

ცინა-მომოვე ულთა მიართ წინა-განვალი გართივალი პერი;

და არა ხოლო სა, არამედ ართ ჰყოფს გამოწვევისა ულთა გათ

« ოველი მოცემად კეთილი და ყოველი
ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარ-
დამომავალ შამისაგან ნათელთა-
სა»(იაკ.1,17), არამედ ყოველივეცა იგი
შამით მოძრავისა ნათელთ-საჩინოებისა წი-
ნა-გამომავალობად სახიერებისათვს ჩუენდა
მომავალი, კუალად ვითარცა ერთ-მყოფე-
ლი ძალი აღყვანებით აღმიყვანებს და მი-
მაქცეს ჩუენ შემკრებელისა მის შამისა ერ-
თობისა და იმერთ-მყოფელისა სიმარტივისა
მიმართ(მიქ.2,12. ინ.17,21). ქამეთუ «შისგან და
შისსა მიმართ არს ყოველი», ვითარ-იგი სამ-
ღლდელოდ სიტყუად იტყვს(რომ.11,36).

2. წინავცა ჩუენ ანუ არა ჟესუს სახე-
ლის-დებით ჩუენდა მოწოდებითა შამულისა
მის ნათლისათა, ქომელი-იგი არს და «ქომე-
ლი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა
სოფლად»(ინ.1,8), ვითარცა ნათელი ჭეშმარი-
ტი, ქომლისა მიერ მაქუს ჩუენ მისლვად ნა-
თელთ-დასაბამისა შამისა მიმართ, სამღლ-
დელოთა სიტყუათა მიმართ, მამათ-მოცემულისა
გამობრნყინვებისათა აღვიხილნეთა, რაოდენ
ჩუენგან მისანდომელ არს და მათ მიერნი იგი
იგავითნი და სახის-შემოღებით გამოჩინებული
ზეცისა გონებათა მღდელთ-მთავრობისა წესნი,
რაოდენ გუედლოს, განვიცადნეთ.

3. დასაბამითსა და ზეშთადასაბამითსა
იმერთ-მთავრობისა შამისა ნათელთ-მოც-
ემასა, ქომელი გამომიბრნყინვებს ჩუენ სახო-
ვნებითა შეტყუებათა შინა ცნელოზთასა მას
ნეტარსა მღდელთ-მთავრობასა, უნივთოთა
და მიუდრეველთა თუალთა შინა გონებისათა
შემწყნარებელნი, კუალად თვთ მისვე მარტი-
ვისა შარავანდელისა მიმართ აღვინინეთ. ქა-
მეთუ არცა ღათუ მას ოდესმე დაუტევებიეს

15 ტკსი იგი ერთობითი შინაგანობად, გარნა ხოლო
სახის-შემოღებათა მიმართ და ერთ-მყოფე-
ლობათა წინა-მოგონებულთა შეზავებისადა
სახიერების შუენიერებით განმრავლდების;
და წინა-გამომავალობდეს რაზ მათდა მიმართ,
ჰგიეს შინაგან თავისა ტკსისა შეურყეველად
შეუძრველსა მასვეობასა მდგმოობით შემტ-
კიცებული; და მისსა მიმართცა ჯეროვნებით
აღმხილველთა, შემსგავსებულად ძალისა მათი-
სა, აღიყვანებს და ერთ ჰყოფს მათ მარტივ-მყ-
ოფელითა მით ერთობითა შისითა. ქამეთუ
არცა შესაძლებელ არს ჩუენდა სხუებრ გამო-
25 ბრნყინვებად იმერთ-მთავრობითსა შარავანდ-
ელსა, არა თუ სახის-მეტყუელებით დაბურვილ
იყოს წმიდებითა მით კრეტ-საბმელებითა და
ჩუენდა მომართითა მით წინა-განგებითა შამ-
ულითა თანა-ბუნებობით და მთვსებელობით
30 განმზადებულ.

3. წინავცა წმიდასა მას შინა მღდელთ-მთავ-
რობასა ჩუენსა სრულთ-მთავარმან ძან მღ-
დელთ-წინადადებამან ზეცისა მღდელთ-მთავ-
რობათა ზეშთასოფლისა მსგავსებად ღირს
35 მიჩინნა ჩუენ და პირველ თქუმულნი იგი უნი-
ვთონი მღდელთ-მთავრობანი ნივთიერებითა
სახეებითა და ხატოვნებითითა შეზავებითა
თითო-ფერ ყვნა და ეგრეთ მომცა ჩუენ, რა-
თა შეტყუებისაებრ და დატევნისა თვთ თავ-
40 თა ჩუენთადა სამღდელოთა მათ ქმნათა მიერ
მარტივთა მათ და დაუსახველთა აღსავალთა
და მსგავსებათა მიმართ აღვანებულ ვიქმნეთ.
წინავთგან არცა შესაძლებელ არს ჩუენისა
ამის გონებისა და უნივთოთა მათ ზეცისა მღ-
დელთ-მთავრობათა მსგავსებისა და ხედვისა
მიმართ აღსლვად, უკუეთუ არა იწუმიოს მან
45 ნივთიერი წელის აღპყრობად მსგავსად დატევ-

* პეტრე იბერიელი(ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა სამსონ ენუქაშვილმა,
თბ., 1961. გვ. 101-151.

ნისა თვისისა. Ծა რამთა ხილულნი იგი სიკეთენი უჩინოვსა მის შუენიერებისა ხატად შეპრაცხნეს და გრძნობადნი ესე სულნელებანი სახე იყვნეს საცნაურისა მის მიმცემელობისა და უნივორისა ნათელთ-მოცემისა, ხატ ყვნეს ნივთიერნი ესე ნათელნი და გონებითისა ხედვითისა აღმოვსებისა წარმოთქუმითნი ესე წმიდანი მოწფობანი და შეწყობილისა მის საღმრთოთა განწესების გუარისა აქანი ესე წესთა შემკობილებანი.

Ծა ესეს მომცემელობად, საღმრთოსა მის მადლობისა პურსა მიმღებელობად და რაოდენი რა სხუანი არიან ზეცისათა მათ არსებათად ზეშთასოფლისად, ხოლო ჩუენდა სახის მოსწავებით მოცემულ არიან. ცმის უკუე ჩუენისა

ძალისაებრისა განღმრთობისათვს კაცთ-მოყუარემან სრულთ-მთავრობამან ზეცისანიცა იგი მღდელთ-მთავრობანი გამომიცხადნა ჩუენ და თანა-მსახურ მათდა ყვნა ჩუენინიცა ესე 5 მღდელთ-მთავრობანი, ძალისაებრ ჩუენისა მსგავსებითა იმრთის სახეთა მათ მათთა მღდელობათადთა, და გრძნობადთა ხატთა მიერ ზეშთაცათანი იგი გონებანი გამოგვწერნა წმიდათ-წერილებითა სიტყუათა შეწყობილებითა, რამთა ჩუენ აღმიყვანეს გრძნობადთაგან საცნაურთა მიმართ და მღდელთ-საქმისა სახეთა 10 თითო-სახეობისაგან მარტივთა მათ ზეცისა მღდელთ-მთავრობათა მწუერვალობისა მიმართ.

დავი:

ზითარმელ საღმრთოდ და გეცათად შეცუაული იზი წესი უსგავსოთაცა სახეთა მიერ გამოწლებიან

1. საქმარ უკუე არს, ვითარ ვჰეგონებ, პირველად ამისი წარმოთქუმად, თუ რასა პირსა ვჰეგონებთ ყოვლისა მღდელთ-მთავრობისასა და თუ რა არს სარგებელი თითოეულისა იმრთის მგალობელთა მათგანისად და ესრეთ მიერითგანლა გალობად ზეცისათა მათ მღდელთ-მთავრობათა თვით მათთვე პოვნილისაებრ საღმრთოთა სიტყუათა მიერისა საჩინოებისა, და ამათსა შედრებინებითლა თქუმად, თუ რომლითა წმიდითა ხატებითა გამოსახვენ ზეცისა შემკობილებათა სიტყუანი წმიდათა წერილისათანი, და თუ ვითართა სიმარტივეთა მიმართ გვემს აღსლვად თითო-ფერობისა ამისგან სახეთავსა, რამთა არა ჩუენცა, მსგავსად მრავალთავსა, უჯეროდ გულისქმის-ყოფითა ვიგონებდეთ ზეცისათა მათთვს და იმრთის სახეთა გონებათა მრავალ ფერკ რამე და მრავალ პირ ყოფასა და ზუარაკთა პირუტყუებისა ანუ თუ ლომთა მქეცთ სახეობისა მიმართ დასახულობასა და არწივთაებრ ჩარბ ფიცხელობასა(ეზეკ.1,10-11) და მფრინველთაებრ ფაჩნიერისა ფრთე-მცენარეობისა შეწმასნილობასა(ეს.6,2. ეზეკ.1,6-11), და რამთამცა ეტლის თუალები რამე ცეცხლის სახეები ცათა შინა გუეოცნებოდა(ეზეკ.1,15-21) და საყდრები რამე ნივთიერები იმერთ-მთავრობისა დასჯდომლად მარჯუები(დან.7,9. გამც.4,2) და ცხენი რამე მრავალ-ფერნი და კუერთხოსანი მქედართმთავარნი და სხუა(ზაქ.1,8; 2 მაკ.3,25; ისო ნავ.5,13), რაოდენი რა წერილთა სიტყუებისა მიერ მოცემულ არს ჩუენდა დიდად შუენიერითა თითო-ფერთა იგ-ავთა მიერ შეწყობისა საჩინოებითა.

20 2. ამეტუ ყოვლით კერძოდ რა და სიტყვს მოქმედთა მრავალფერობად დაუსახველთა მათ გონებათათვს იქუმია იმრთის-მეტყუელებამან, ვითარცა პირველ თქუმულ არს, ჩუენსა გონებასა აღიყვანებდა და თვისისა მისისა ერთ-ბუნებაობისა მოგონებათაგან ამაღლებასა მისისა წინა-განაგებდა და თვით მათ სახის-მეტყუელებათა მიმართ წმიდისა წერილისათა შეიყვანებდა.

30 3. ზინაცცა ესრეთ განცდად საგონებელ მიჩნს, რამთა წმიდანი იგი შეწყობილებანი მივითუალნეთ, ვითარცა მეცნიერთა, ვითარმედ მარტივად თავით თვისით და ვითარ-იგი არიან, უცნაურ და უხილავ ჩუენდა არიან. წოლო გამოჩინებად საგონებელ არიან წმიდანი იგი გონებანი წერილთა სიტყუებისა სახის-მწერლობასა შინა.

35 4. ზა ყოველსავე, ვითარ-იგი სათქმელ არს, მკუეთობასა წნეველოზებრთა სახელებთა კარვისასა, რომლითა ჭუმევად ვიტყვთ იმრთის-მეტყუელთა მიერ სახესა რასმე ჭორციელად შემოღებულსა ყოვლად უჭორცოთა მათთვს, ვითარმედ ჯერ-იყო, რამთა დაღაცათუ სახესა რასმე შემოიღებდეს, რამთამცა უთვესესნი-რე მათდა და, რაოდენ შესაძლებელ არს, უნათესესნი რამე ემსგავსნეს მათდა და ჩუენ შორის უპატიოსნესთა და უფროს უნივორთა-რე 45 არსებათაგანნი უზეშთაესნი-რე შემოეხუნეს სახედ მათდა. Ծა არა ზეცათანი იგი და იმრთის სახენი სიმარტივენი ქუეყანისათა ამათ უდარესთა სახის მსგავსებათა მრავალ-სახეობისადა მიემსგავსნეს, რომლითა ჩუენიცა უმა-

ღლეს აღსლვად საგონებელ იყო და ზეშთასოფლისათა მათ საჩინოებათა არა-შთამოყვანებად აქა სახილველთა ამათ მსგავსებათა მიმართ, რომელნი-ესე ნუუკუე უპატიო გინება იყვნენ ზეცისა ძალთა მათცა და ჩუენისაცა გონებისა შემაცთუნებელ უჯეროთა შეზავებულებათა შინა დატევებად მათდა. რა ნუუკუე საგონებელცა იქმნეს ზეშთა კერძო ცათავსა აღსავსე ყოფად ლომოვანითა რათმე და ცხენოვანითა არვეებითა და მშვენითა ქების-მეტყუელებითა და მფრინველოვნითა გროვანობითა და სხუათა ცხოველთაგან და ნივთთა უპატიოთა, რაოდენი რაა უჯეროებასა და საეჭობასა ვნებულებად მიღრეკითა დააწერდენ მათ, რომლითა ყოვლად უმსგავსო არიან რეცა საჩინოებითთა მათ ჩერილთა სიტყუებისა სახის მსგავსებანი. ცრამედ, ვითარ ვჰგონებ, ჭეშმარიტების მეძიებელობამან აწვე გამოგვჩინოს ჩუენ საღმრთოთა მათ სიტყუათა ჩერილისათა ჭეშმარიტი იგი სიბრძნე, ვითარ ზეცისათა მათ გონებათა ხატოვნებასა შინა თითოეული სახის-შემოლებად ფრიად ჯეროვნად ნინა-მოიგონა ორ-კერძოვე, რათა არცა ვითარ ვინ თქუას საღმრთოთა მათ ძალთა ზეცისათა მაგინებელ რათმე ექმნეს, არცა ჩუენ ქუე-მეთრევ ყოფად დამიტევნეს ვნებულებით შემშტუალვად სიმდაბლესა თანა სახეთასა.

ცნ უკუე, ვითარმედ სამართლად მოპოვნებულ არიან სახენი დაუსახველთათვს და მსგავსებანი უმსგავსორთათვს, არა ხოლო ესე ვინ თქუას მარტოდ მიზეზ ყოფად შეუძლებლობად ჩუენისა დატევნისად უსაშუალოდ აღსლვად საღმრთოთა ხედვათა მიმართ და მოქენე ყოფად თვსთა ერთ-ჭმათა აღმყვანებელთა, რომელნი ჩუენდა მისაწდომელებსა სახეებსა წინა-განგვფენენ ზეშთაბუნებისათა მათგან და დაუსახველთა ხედვათა, არამედ ესეცა, ვითარმედ უშუენიერესცა არს საიდუმლოთა მათ სიტყუათადად დაფარულ-ყოფად ძნიად გამოსათქუმელთა და სამღდელოთა იგავთა მიერ, რათა მრავალთა მიერ შეუვალად დადგან წმიდად იგი და საიდუმლო ზეშთასოფლისა გონებათა ჭეშმარიტებად, რამეთუ არა ყოველნივე წმიდა არიან, არცა ყოველთა არს მეცნიერებად, ვითარცა სიტყუანი ჩერილთანი იტყვან(1კორ.8,7). ხოლო უკუეთუ ვინმე მიზეზ იდგმიდეს საჩინოთა ამათ ხატთ-მწერლობათა და იტყვოდის საკდემელ ყოფად ესე ვითართა ამათ უშუერთა სახოვანებათა მსგავსებად იმრთის სახეთა მათ წმიდა-

თა შემკობილებათა, საქმარ არს მისასა მიმართ თქუმად, ვითარმედ ორ-სახე არს სამღდელოება მის საჩინოებისა გუარი. 3. 7რთი იგი მსგავსებით წარმომეტყუელი დიდთ-სახეთა მათ ხატთათვს, ხოლო მეორე უმსგავსორთა სახის-მოქმედებითა აზმნობს გამოჩინებასა ყოვლად უმსგავსორთა მათსა. 7ინადცა თვთ სამსახურებელსა მასცა ზეშთა არსებისა იმერთ-მთავრობითსა ნეტარებასა 5 საჩინოებითთა სიტყუათა საიდუმლონი იგი მოცემანი ოდესმე ვითარცა სიტყუად (ინ.1,1) და გონებად(რომ.11,34) და არსებად უგალობენ იმრთივ შუენიერსა მას სიტყვერებასა შისასა და სიბრძნესა შისასა აუწყებენ და მყოფობად 15 არსთა და ჭეშმარიტებით მიზეზ ყოფად და თვთ ნამდვლვე მყოფად, და ვითარცა ნათლად აზმნობენ შას(ინ.8,12. 1ინ.1,5) და ცხორებად უწოდენ(ინ.14,6), რომელნი-ესე რეცა უპირატესნი რამე არიან და უპატიოსნესნი მისთვს 20 მოპოვნებულთა სახეთანი და ნივთიერთა სახოვნებათასა რეცა თუ ზეშთა ყოფად ვითამე საგონებელნი, გარნა ეგრეთცა დაკლებულნივე იმერთ-მთავრობითი ჭეშმარიტისა მსგავსებისაგან, ქამელი-იგი ყოვლისავე არსებისა და ცხორებისა ზეშთა არს(1ტიმ.6,16); რამეთუ არცა ერთი ნათელი დაჭსახავს მას და ყოველი სიტყუად და გონებად თანა შეუტყუებელად დაკლებულ არიან მსგავსებისაგან შისისა. ხოლო ოდესმე უმსგავსორებითაცა საჩინოებითა მათვე 30 სიტყუათა მიერ ზეშთა სოფლისად იგალობების(რომ.11,33), რაჟამს შეუსაზღვრებელ და განუზომელ და დაუტევნელ უწოდდენ შას, რომელთაგან არა რაა იგი არს, არამედ რადი არა არს, ესოდენ მოესწავების, რომელი ესე უსაკუთრეს მგონიეს მისთვს. ქამეთუ, ვითარ საიდუმლომან და სამღდელომან მოცემამან მოგვთხრეს ჩუენ, რაჟამს ვიტყოდით შისთვს არცა ერთსა რას არსთა ამათგანობასა, მაშინ ოდენ ვჭეშმარიტებთ, ხოლო უმეცარ ვართ 40 ზეშთაარსებისასა შისასა მოუგონებელსა და გამოუთქმელსა შეუსაზღვრებელობასა. ცნ უკუე, ვინათგან წათქუმანი შეუტყუებელ არიან საიდუმლობისათვს გამოუთქმელთასა, ხოლო უკუეთქუმანი უჭეშმარიტეს არიან 45 საღმრთოთა ზედა, ამისთვს უფროვს უსაკუთრეს არს უხილავთათვს უმსგავსორთა მოპოვნებათა მიერი საჩინოებად. 7ინადცა პატივ-სცემენ უფროს, ვიდრე არა უშუერებითა აღავსებენ ზეცისა შემკობილებათა წმიდათა ჩერილთა

მიერნი სიტყვეს-მწერლობანი გამოჩინებითა მით უმსგავსოთა სახის მოქმედებათავთა და ამიერ აჩუენებენ მათსა ყოველთავე ნივთიერთაგან ზეშთასოფლისად ამაღლებულებასა. ქოლო რომელ ჩუენთაცა გონებათა უფროოს აღიყ- ვანებენ გამოჩინებანი იგი უმსგავსობათანი, არავისგან ვჰგონებ წინააღმდეგომის სიტყუად კეთილად გონიერთაგანისა ვისგანმე, რამეთუ უპატიოსნესთა ნივთთაგან რასმე მოპოვნებასა სამღდელოთა გამოსახვათასა თანა-შეჰყვების ცოომაბცა რამე, რაუამს ოქროს სახე ყოფად ვჰგონებდით ჩუენ ზეცისა არსებათა, ნათლის სახედ რადმე კაცად შუენიერად და ელვარედ, შემოსილად პატიოსნებითა სამოსლებითა და მკრთოლვარედ ცეცხლის ფერობასა უვნებე- ლობით(მთ.28,3. მრკ.16,5. საქმ.1,10. გამც.4,4) და სხვთა რაოდენებითა ამათ თანა ერთ-სახი- თა სახეებითა დაჭახავს მირთის-მეტყუელებად ზეცისათა მათ გონებათა. ქომელი-ესე რახთა არა ესრეთ შეემთხვოს მათ, რომელი-იგი ვერ- ცა ერთსა რას ხილულთა ამათ სიკეთეთასა უმა- ლლესსა რასმე განმგონებელ არიან, ამისთვის წმიდათა მირთისმეტყუელთა აღმვევანებლო- ბითი იგი სიბრძნე ხილულთა ამათ უმსგავსოე- ბათა მიმართ ღირსებით შთამოსლვითა არა მიტევებს ჩუენ განსუენებად ნივთიერთა ამათ კნინთა სახეთა შინა დაშთომითა, არამედ უფროოსლა აღადგინებს აღმართ მავალობასა სულისასა, უგუმერდეს რად დეზითა ჰავ სახე- თა შეზავებათავთა, ვითარცა შეუტყუებელითა არცა ჭეშმარიტ საგონებელ ყოფითა, არცალა თვთ მათ ფრიად ზრქელთა და ნივთიერთავთა, ვითარმედ ესე-ვითარნი იგი უშუერნი მსგავსე- ბანი ჭეშმარიტ არიან ზეშთაცათათა მათთვის და საღმრთოთა სახილველთა. ცმას თანა ამისიცა მოგონებად საქმარ არს, ვითარმედ არცა ერთი რად არსთაგანი არს ყოვლითურთ დაკლებულ მიმღებელობისაგან კეთილთავსა, არამედ, ვი- თარ-იგი წმიდათა წერილთა სიტყუად იტყვს ჭეშმარიტებით, «ყოველივე კეთილ არს ფრი- ად»(შესქ.1,31).

4. ცრს უკუე ყოველთა მიერ გულისქმის- საყოფელ კეთილთა ხედვათა მიერ მცნობელ- თათვის და საცნაურთა ნივთიერთა ამათგან მოგონებად მათთვის თქუმულთა მათ მიერ უმს- გავსოთა მსგავსებათა, ვითარმედ სხვთა სახითა გულისქმა-იყოფებიან საცნაურთა მათთვის, რა- ოდენი რად სხუებრ განყოფილ არიან გრძნო- ბადთა ამათდა. ქამეთუ რისხვად პირუტყუთა

უკუე ვნებულისა აღძვრისაგან შეემთხუევის და პირუტყუებითა აღსავსე არს რისხვის სახეობი- თი იგი კრთომად მათი. ქოლო საცნაურთა შო- რის სხვთა სახითა ჯერ-არს გულისხმის-ყოფად რისხვითობისა, რომელი-იგი, ვითარ ვჰგონებ, ნულებრისა მას სიტყვერებასა მათსა მოასწავებს და მოუმედგრებელსა წესა მირთის-სახეობი- თისა მის და შეუცვალებელისა სიმტკიცისაგან. ზერთვე გულის-თქუმის ყოფად პირუტყუთა ვიტყვით დაუპყრობელობასა რასმე და ნივთიერ- სა დაუმჭირველობასა მათ შორის აღმოცენ- ებულისა მის აღძრვისა გინა ჩუეულებისასა შეცვალებადთა მათ მიმართ ქმნილისა ვნებუ- ლისა სიყუარულისასა და პირუტყულსა მას ძლეულებასა ჭორციელისა ნებებისასა, რომლ- ითა ყოველთა ცხოველთა მიმართ მიიზიდვო- დიან გრძნობადისა მის გულის-თქუმისა მიერ. ქოლო რაუამს უმსგავსოთა მსგავსებათა საცნაურთა მათთვის მოვიპოებდეთ, გულის- თქუმა ყოფად მათდა ვაზმნობთ საქმარებით მოგონებულსა მათთვის საღმრთოსა ტრფიალე- ბასა ზეშთა სიტყვასა და გონებისა უნივორები- სასა, და მიუდრეველსა და განუცემელსა სურ- ვილსა არსებათა უზეშთაესისა უბინობასა და უვნებელისა ხედვისასა, და წმიდისა მის მიმართ და უსრულესისა ბრწყინვალებისა და უჩინობასა და კეთილ-მყოფელისა შეუნიერებისა საუკუნო და საცნაურ ყოფასა ზიარებისასა. წა დაუპყ- რობელობად მათდა მივითუალავთ მარადის აღპყრობილობასა მას და გარე-შეუქცეველო- ბასა და არცა ერთისა რასაგანმე განკუეთად შესაძლებელ ყოფასა შეურევნელისა მისგან და უცვალებელისა საღმრთოთა სიკეთეთა ტრფი- ალებისა და ყოვლითურთისა შეყენებისა ნამდ- კლვე სასურველსა მას სურვილსა შინა, არამედ თვთ მას პირუტყუებასაცა და უგრძნობლობასა: პირუტყუთა უკუე ცხოველთათვის გინა უსულო- თა ნივთთათვის მოკლებისათვის სიტყვასაგან და გრძნობისა საკუთრებით ვიტყვთ, ხოლო უნი- ვთოთა მათთვის და საცნაურთა არსებათა სი- წმიდის შეუნიერებით ზეშთააღმატებულებასა მათსა ვითარცა ზეშთასოფლისად აღვიარებთ, ვითარმედ ზეშთა არიან იგინი ჩუენებრისა ამის მიმოგდებითისა და ჭორციელისა სიტყვსაგან და ნივთიერისა და უცხოდ შეუმსგავსისა უქ- ორცოთა ძალთავსა გრძნობისაგან. ცრს უკუე არა უჯერო მსგავსებად ზეცისა სახოვნებათა თვთ მათ უუპატიოესთა კერძოთაგან ნივთისა- თა, ვინამთგან მასცა ჭეშმარიტისა მის კეთილ-

ისა მიერ მიუღიეს ყოფად და ყოველივე იგი ნივთიერი შემკულებად მისი ნაწმევობასა რასმე მქონებელ არს საცნაურისა მის შეუნიერებისა-განსა; და შესაძლებელ არს მათ მიერ აღსლვად უნივორობა მათ მიმართ პირშოთ-სახეობათა, ვითარ-იგი თქემულ არს, უმსგავსოდ მოღებითა მსგავსებისათა მათგანვე არა ეგრეთვე ხოლო შეწყობილად და განთვებულად განსაზღვრებად თვთებასა საცნაურთა და გრძნობადთასა.

5. ცმათ მიერვე ვჰპოებთ მესაიდუმლოეთა მათ იმრთის-მეტყულელთა არა ხოლო თუ ზე-ცისათა მათ შემკობილთა საჩინოებათა ჯე-როვად მამსგავსებელად, არამედ ოდესმე თვთ მათცა იმერთ-მთავრობითთა საჩინოებათა გამომსახველად. ქამეთუ ოდესმე ხილულთა ამათგან პატიოსანთა უგალობენ მას, ვითარ-ცა ძირედ სიმართლისად(მალქ.4,2) და ვითარ-ცა ვარსკულავად აღმოსავალისა(პეტ.1,19. გამც.22,16) სიწმიდით აღმომავალად გონებასა შინა წმიდათასა, და ვითარცა ნათელი დაუ-ფარველად და საცნაურად განმაპრწყინვებელი; ხოლო ოდესმე საშუალთაგან, ვითარ ცეცხ-ლი უვნებელად განმანათლებელი(გამს.3,2) და ვითარცა წყალი ცხოველთა აღმავსებელობა-თა მიმნიჭებელი(იერ.2,13. გამც.7,17) და, რა-თა სახის-ვმეტყველებდე, მუცლად შთასრული და დაუწყეუდელთა მდინარეთა მიერ აღმო-მაცენებელი(ინ.7,38. გამც.22,1), ხოლო ოდესმე უკუანასკნელთაგან ვითარცა ნელ-საცხე-ბელად სულნელად(ქებ.1,2) და ვითარცა ლო-დად თავსაკიდურთა(ეფ.2,20). ცრამედ მწეცის სახეობათაცა დასდებენ მისთვის და ლომისაცა და ყოვლისავე მწეცისა თვთებათა შეახებენ მას(ოს.5,14;13,7), და ვეფხ ქმნასა მისა იტყვან და დათუ განკრომილ ყოფასა(ოს.13,7-8). ყევსძი-ნო თვთ იგიცა ყოველთასა უპატიოეს მყოფელ საგონებელი და უშუერ შესარაცხველი მისთვის, რამეთუ თვთ იგი თავადი მატლ მაზმნობელად თავისა თვისისა მოუცემიეს ჩუენდა საღმრთოთა შინა განბრძნობილთა მათ(ფს.21,7).

7სრეთ ყოველნი იმრთივ განბრძნობილნი და საიდუმლოდ მობერვისა მოძლუარნი და მსახურნი უსრულთაგან და არა სამღდელოთა უხრწნელად მიმოდასდებენ წმიდასა წმიდათა-სა და უმსგავსოსა წმიდათ-მაზმნობელობასა მსახურ ექმნებიან, რათა არცა საღმრთონი იგი საიდუმლონი ადვილ წელთ საგდებელ იყვნენ

ბილნთა მიერ, არცა ხედვის მოყუარენი წმი-დათა მათ ქანდაკებთა სახეებსა შინა, ვითარცა ჭეშმარიტებასა შინა, ეგრეთ დაშთებოდინ და რათა საღმრთონი საიდუმლონი ჭეშმარიტე-ბითა უკუთქუმათამთა პატივ-იცემებოდინ და უკუანასკნელთა მათ თვსთა ნაწმევთა სხუე-ბრობითა მსგავსებისათა. ზა ვინაოთგან ესე ესრეთ არს, არასადამე უჯერო არს, უკუეთუ ზეცისანიცა იგი არსებანი სახილველთა ამათ 10 უმსგავსოთა მსგავსებათაგან გამოისახვოდინ ზემო თქემულთა მათ მიზეზთათვს. ქამეთუ ნუკუე და არცალამცა ჩუენ ძიებად უღონ-ოებისაგან და სახის-მეტყულებად ზედა-მიწ-ენითისა გამოძიებისაგან მოსრულ ვიყვენით, 15 უკუეთუმცა არა აღვეშფოთენით ჩუენ უშუერ სახილველობასა ცნგელოზთა ამის ცხადისა სახის-მწერლობისასა, რომელი არა უტევებს გონებასა დაშთომად უშუერთა ამათ შინა სახის დამსახველობათა, არამედ აღსძრავს მას, რა-20 თა განიყარნეს ნივთიერნი ესე ვნებულებანი და დაეჩვის სიწმიდით აღხილვად ხილულთა ამათ მიერ ზეშთასოფლისათა მათ მიმართ აღმყვანე-ბლობითა.

7სე ესოდენ ითქუა ჩუენგან ნივთიერთა ამ-25 ათთვს და ცხადთა წმიდათა სიტყუათა ცნგე-ლოზთ-სახეობისა სახის-მწერლობისათა. ქოლო ამიერითგან განჩინებად ჯერ-არს, თუ რად ყო-ფად ვჰპონებთ თვთ მის მღდელთ-მთავრობისა წესსა, ანუ თუ რად შეეძინების მღდელთ-მთავ-30 რობისა მისგან წილ-ხუდომილთა მათ მღ-დელთ-მთავრობისათა. ქოლო წინა-მიძლოდენ სიტყუასა ამას ზრისტე, უკუეთუ ოდენ შემი-გას მე თქემად ჩემი მობერვად იგი ყოვლისავე მღდელთ-მთავრობისა. ქოლო შენ, ჭ ყრმაო, 35 ჩუენისა მისებრ წმიდისა მღდელთ-მთავრო-ბით მოცემულისა შვეულის-დებისა შენცა სი-წმიდით ისმენდ სიწმიდით თქემულთა საღმ-რთოდ-საღმრთოთა მესაიდუმლოე ქმნითა და გონებისა დაფარულებითა წარგრაგნილსა სცე-40 ვდ წმიდასა არა წმიდათა ერთა სიმრავლისა-გან, ვითარცა ერთ-სახეობით დასაცველსა, რა-მეთუ არა შეჰვავს, ვითარცა წმიდანი სიტყუ-ანი იტყვინ(მთ.7,6), ღორთა მიმართ მიგდებად საცნაურთა მათ მარგალიტთა შეურევნელსა და 45 ნათლის სახესა და კეთილ-მყოფელსა კეთილად შემკობილებასა.

ტავი ჭ:

ცუ რამ არს მღვეღო-მთავრობამ ანუ რამ არს სახეიდელი მღვეღო-მთავრობისამ

1. ცრს უკუე მღვეღო-მთავრობად ჩემის-აებრ გულისქმის-ყოფისა წეს სამღვეღო და წელოვნება და მოქმედება იმრთის სახეობისა მიმართ, რაოდენ მისაწყობელ არს, მიმამსგავსებელი და მას შინა აღმომდინარეთა მათ იმრთისა მიერთა გამობრნყინვებათა დატევნი-საებრ იმრთის-მსგავსებისა მიმართ აღმყვანე-ბელი. ქამეთუ იმრთივშუენიერი იგი სიკეთე ვითარცა მარტივი, ვითარცა სახიერო, ვითარცა სრულთ-მთავარი დაღათუ ყოვლად შეურევნელ არს ყოვლისა უმსგავსოებისა, არამედ მიმცე-მელობსვე თვისისა ნათლისაგან ღირსებისაებრ თითოეულისა მიმღებელისა და სრულთ-მყოფე-ლობს სრულებითა საღმრთოთა თავისა მიმართ თვისისა სრულ-ყოფადთა მათ ერთ-შეწყობილსა შეუცვალებელსა ხატებასა.

2. ხოლო პირ მღვეღო-მთავრობისა არს იმრთისა მიმართი, რაოდენ მისაწყობელ არს მსგავსება და ერთობა მისისა მქონებელობითა წინამძღვრად ყოვლისავე სამღვეღოსა წელოვნებისა და მოქმედებისა. მა საღმრთო-სა მის შუენიერებისა მიმართ მიუდრეკელად უკუე ხედავს, ხოლო რაოდენ უძლავს, ეგოდონ ხოლო დაისახების და თვისისა მას მწყობრსა იმ-რთის მგალობელთასა ქანდაკებად საღმრთოდ სრულ ჰყოფს სარკედ საწადელ სახილველად და შეუმწინკულებელად შემწყნარებელად შარ-ავანდედსა ნათელთ-დასაბამისა იმერთ-მთავ-რობისასა და მისგან გამომკრთოლვარეთა მათგან პრნყინვალებათა თვთცა სიწმიდით აღმომვსებელად და კუალად მასვე შემდგომ-თაცა მათთა მიმართ მსგავსად იმერთ-მთავ-რობითთა შჯულის-დებათა უშურეველობით გამომაბრნყინვებელად. ქამეთუ არა შეჰვავს სიწმიდით სრულ-მყოფელთა ანუ სიწმიდით სრულ-ყოფადთა ყოვლად მოქმედებად რასმე გარეგან სამღვეღოთა მათ წესთა თვისისა მის სრულთ-მთავრობისათა, არცა რამთ ყოფად სხ-უებრ, თვისი სურვილითა ოდენ განმაღმრთო-ბელისა მის მათისა შუენიერებისათა, და რამთა მას ოდენ მღვეღლ-შუენიერებით განიცდიდენ და მის მიერ დაისახვოდინ ძალისაებრ თითოეულ-თა მათ საცნაურთა გონებათავსა.

მა ვინავთგან ესე ესრეთ არს, უეჭუელად ცხად არს, ვითარმედ რომელი მღვეღო-მთავ-რობასა იტყოდის, ყოვლითურთ დიდსა რასმე

შემკობილებასა მოასწავებს ხატად იმერთ-მთავრობითისა შუენიერებისა წესთა და წე-ლოვნებათა მიერ მღვეღლ-მთავრობითი მღვეღლ-მოქმედად თვისისა გამობრნყინვებისა საიდუმლოთა და თვისისა დასაბამისა მიმართ მასგავსებელად, რაოდენ ოდენ დასატევნელ არს. ქამეთუ თითოეულისა მღვეღლ-მთავ-რობისა წილ-ხუდომილთა სრულება არს ძალ-ისაებრ თვისისა აღსლვად მსგავსებისა მიმართ იმრთისა და თვთ ესე უსაკურველესი ყოვლისა, რამთა, ვითარცა საღმრთონი სიტყუანი იტყვან, იმრთისა თანა მოქმედ იქმნეს(1კორ.3,9) და აჩ-უენოს საღმრთო იგი მოქმედება ძალისაებრ თავსა შორის თვისისა გამოჩინებულად. ქამეთუ, ვინავთგან წეს მღვეღლ-მთავრობისა არს რო-მელთამე განწმედა, ხოლო რომელთამე გან-მწმედელობა, რომელთამე ნათლის-ღება, ხოლო რომელთამე ნათლის-მცემელ ყოფა, რომელთამე სრულ-ყოფა და რომელთამე სრულ-მყოფელ ყოფა, თითოეული ამათგანი მსგავსებასა იმრთისასა შეეტყუების ესე-ვი-თარითა ამით სახითა. საღმრთო უკუე ნე-ტარება, რაოდენ კაცთა მიერ სათქმელ არს, შეურევნელ არს ყოვლისა უმსგავსოებისაგან, აღსავს ნათლითა საუკუნოთა, სრულ და უნ-აკლულო ყოვლისა სრულებისაგან, განმწმე-დელ და განმანათლებელ და სრულების მო-ქმედ, უფროსლა წმიდა სიწმიდე და განათლება და სრულება ზეშთაგანწმედისა, ზეშთანათლისა პირველითგან სრულ, თვთ სრულთ-მთავრო-ბა, ყოვლისავე მღვეღლ-მთავრობისა მიზეზ, ხოლო თვთ ზეშთაყოფით ზეშთამაღლებულ ყოვლისა წესისა სამღვეღოსა.

3. იქმს უკუე, ვითარ-ესე მე მგონიეს, გან-წმედადთა ყოვლად ყოვლითურთ შეურევნელ ყოფა და ყოვლისავე უმსგავსოება თანად აღრევისაგან თავისუფალ ყოფა; ხოლო გა-ნათლებადთა აღსავს ყოფა საღმრთოსა ნათლისაგან ხედვითისა მიმართ წესისა და ძალისა ყოვლად უბინოთა გონებისა თუალ-ითა აღმავლობით; ხოლო სრულ ყოფადთა და უსრულობისაგან ჯმილთა მოყუას ყოფა მათი, რომელი შესრულ იყვნენ წელოვნებასა მათ მიერ ხილულთა მათ სრულებათა სიწმიდ-ისასა; ხოლო განმწმედელთა სიმდიდრითა მით განწმედისათა სხუათა მიმართცა გარდაცე-

მაად თვესისა სინშიდისაგან; ხოლო განმანათლებელთა, ვითარცა უშუენიერესთა გონებათა და თვესებისა მქონებელთა ზიარ ყოფად ნათლის მიმცემელობისა და ყოვლად წეტარებით აღვსებულთა წმიდათა მით ბრწყინვალებითა და შემძლებელთა ყოვლისავე მის ზეგარდამო მათ ზედა მოფენილისა ნათლისა მიკუალებად ღირსთა მიმართ ნათლისათა; ხოლო სრულების მოქმედთა, ვითარცა უკელოვნესთა სრულებითისა მიმცემელობისათა სრულ ყოფად სრულ ყოფადთა მათ ყოვლად წმიდითა მესაიდუმლიერ ქმნითა მათ მიერ ხილულთა მათ სამღდელო-

თა წელოვნებათავთა. ზინააცა ანუ არა ჭეშმარიტად ესრეთ არსა ესე, რომელ თითოეული მღდელთ-მთავრობითისა შემჯულებისა წესი, მსგავსად ძალისა თვესისა, აღიყვანებიან საღმრთოსა მის თანა-მოქმედებისა მიმართ და მას სრულ ჰყოფენ მადლით და იმრთივ მოცემულითა ძალითა, რომელი იგი ბუნებითი და ზეშთაბუნებათა არს იმერთ-მთავრობისად და პირველითგან მისდა საქმარი ზეშთარსებისა და დატევნისაებრ იმრთის მოყუარეთა მათ გონებათა მსგავსებისა მღდელთ-მთავრობითად გამოცხადებული მათდა.

დავი და:

ცუ რასა მოასწავებას სახელის-ღაბამ ცნიშვნებისამ

1. ცნ უკუე, ვინაოთგან რაჟცა-იგი არს მღდელთ-მთავრობამ, ვითარ ვპერონებ, კეთილად განისაზღვრა ჩუენ მიერ, ამიერითგან თვთ იგი ცნგელოზებრი მღდელთ-მთავრობამ იგა-ალობებოდედ და წმიდათა წერილთა მიერნი იგი წმიდანი სახის-მოქმედებანი მათნი ზეშთა-სოფლისათა თუალითა განიხილოდედ, რა-თა აღმართ ვიქმნეთ იმრთის-სახისა მის სიმარტივისა მათისა მიმართ საიდუმლოთა ამათ მსგავსებათა მიერ და ყოვლისავე მღდელთ-მთავრობითისა წელოვნებისა დასაბამსა ვაქებდეთ იმრთივ შუენიერითა სამსახურებლობითა და სრულთ-მთავრობითითა მადლობითა. ხოლო პირველად ყოველთასა ამისი თქუმად ჭეშმარიტ არს, ვითარმედ ზეშთარსებათამან მან იმერთ-მთავრობამან მხოლოდ სახიერებისათვს ოდენ დაპბადნა და არსად მოიყვანნა არსებანი ყოველთა არსთანი. ქა-მეთუ თვთ ესე თვს ეყვის ყოველთა შიზეზისა მას და ზეშთა ყოველთასა სახიერებასა. ქათა ზიარებად თვსსა მოუწოდოს არსთა, რაოდენი დატევნად განსაზღვრებულ არს თითოეულისა არსთაგანისა და ძალისაებრ და შეტყუებისა მათისა. ზინააცა ყოველნივე არსნი მიიღებენ წინა-განმგებელობასა ზეშთარსებისა შისგან და ყოველთ-მიზეზისა იმრთებისა აღმომდინარესა, რამეთუ არცაღამცა იყვნეს არათუმცა არსთა არსებისა და დასაბამისაგან მიმღებელი იყვნეს. ცნ უკუე უცხოვლონი ყოველნი ყოფისა მიმღებელ არიან შისგან, რამეთუ ყოფა ყოველთა არს ზეშთაყოფისა იგი იმრთება, ხოლო ცხოველი - ცვა მას ზეშთა ყოვლისასა ცხორებასა ცხოველს-მყოფელისა მის ძალისასა,

- 20 ხოლო სიტყვერნი და საცნაურნი – ცვა მას ზეშთა ყოველთასა სიტყვისა და გონებისასა თვთ სრულსა და პირველითგან სრულსა სიბრძნესა. ცხად არს, ვითარმედ მათ არსებათაგანნი არ-იან იგინი, რომელიცა მრავალ ნაწილად მიიხ-უნეს მათ შისგან.

- 25 2. ცნ უკუე წმიდანი იგი ზეცისა არსება-თა შემქობილებანი უფროს მხოლოდ არს-თა ოდენ და პირუტყულად ცხოველთა და კუალად ჩუენებრ სიტყვერთავსა მიმღებელ ქმნილ არიან იმერთ-მთავრობითთა ნიჭ-თა მიმცემელობისაგან. ქამეთუ საცნაურად დაჰსახვენ თავთა თვსთა მსგავსებისა მიმართ იმრთისა და იმერთ-მთავრობითსა მას მაგ-ალითსა ზეშთასოფლისად მიხედვენ და დასახ-ვად სურვეელ არიან საცნაურისა მის სახისა შისისა, ვითარ-იგი შეჰვავს უუშურველესად მქონებელთა შისსა მიმართისა ზიარებისათა. ქა-30 მეთუ უმახლობელესცა არიან და მარადის, რაოდენ დასატევნელ არს, აღმართ აღმავალ აღპყრობილნი მოსწრაფებითა საღმრთოსა და დიდებულისა ტრფიალებისათა და დასა-ბამისათა მათ გამობრწყინვებათა უნივერსა და შეურევნელად მიმთუალველნი და მათდა მიმართ განხესებულნი და საცნაურად მქონე-ბელნი ყოვლისა ცხორებისანი. ქე არიან, რო-მელნი უპირატესად და უმრავალნილესად მიმ-ღებელ არიან ნიჭთა იმრთისათა და პირველად და მრავალნილად ნარმომაჩინებელ და მომთხ-რობელ იმერთ-მთავრობითსა საიდუმლოობა-სა, ვინააცა ყოველთა მიერ უპირატეს უკუე ცნგელოზად ღირს იქმნებიან სახელის-დება-სა. ქამეთუ პირველ მათდა მიმართ მიიწევის
- 35 40 45

იმერთ-მთავრობითი გამოცხადების და მათ მიერ ჩუენდა მომართ წიაღ-მოვალს ზეშთა ჩუენისა იგი საჩინოებად.

7სრეთ უკუე, ვითარცა იმრთისმეტყუელებად იტყვს, შჯული ცნგელოზთა მიერ მომენიჭა ჩუენ (გალ.3,19; საქმ.7,5; ეპრ.2,2) და დიდებულთა მათ პირველ შჯულისა და შემდგომად შჯულისა მამათა ჩუენთა ცნგელოზნი აღიყვანებდეს საღმრთოთა მიმართ, ანუ საქმეთა მოთხრობასა და მართლისა მომართ და ჭეშმარიტისა გზისა საცთურისაგან და უჯეროსა ცხორებისა მოცევასა, ანუ წესსა სამღდელოსა, ანუ საიდუმლოთა ზეშთასოფლისათა დაფარულსა ხედვასა(დან.7,10), ანუ საღმრთოთა რათმე წინა-მოსწავებათა წინააღმდეგ მეტყუელებით გამოჩინებასა(ეს.10,3).

3. ქოლო უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ თვთ უსაშუალოდცა იქმნა წმიდათა ვიეთმე მიმართ იმრთის გამოცხადებად(შესქ.12,7; 28,13), ესეცა სიბრძნით ისწავედ ესე-ვითარმან მან სი-ტყუებისაგან წმიდათავსა, ვითარმედ თვთ საღმრთო იგი დაფარულება(შესქ.3,8), რაცა-იგი არს იმერთი, არცა ერთსა ვის უხილავს(ინ.1,18), არცა იხილვების, გარნა იმრთის გამოცხადებანი ოდენ იქმნეს წმიდათა მიმართ(შესქ.18,1), ვითარ-იგი შუენის იმერთსა სამღდელოთა რათმე და მხილველთა მიერ დატევნად შეს-აძლებელითა ხედვათა საჩინოებითა. წინააღცა ყოვლად ბრძენი იმრთის-მეტყუელებად ხილვათა მათ, რომელთა მის შორის აღნერილად გამოაჩინებს, ვითარცა რეცა სახის-მსგავსებით მსგავსებასა ყოვლად უმსგავსობასა და დაუსახველისა იმრთისასა, ხილულთა მიერ უხილავთა მიმართ აღმყვანებლობისათვს სამართლად უწოდს მათ იმრთის გამოცხადება, ვითარცა მათ მიერ მხედველთა მიმართ მომყვანებელსა საღმრთოსა გამოცხადებისასა, რომელი იდენ საღმრთოდ მესაიდუმლოე იქმნებოდინ მათ მიერსა მას საღმრთოთა მაღლთა ზიარებასა.

7სე-ვითართა მათ საღმრთოთა ხედვათა მე-საიდუმლოე ყოფად მამათა ჩუენთა შუვა-მდგომელობითა ზეცისა ძალთაეთა მიემადლებოდა. ცნუ არა შჯულისაცა იგი წმიდად შჯულის-დებად ესრეთვე უთქუამს საღმრთოთა სიტყუათა მოცემასა, ვითარმედ თვთ თავით თვისით მოენიჭა იგი იმრთისა მიერ შოსეს, რათა ჩუენ მესაიდუმლოე გუყვნეს საღმრთო ყოფისა მისისათვს და სამღდელოდ განწესებულ ყოფი-

სათვს. 7არნა ამასცა სიბრძნით გუასწავებს იმრთის-მეტყუელებად, ვითარმედ ცნგელოზთა მიერ მიღებულ იქმნა იგი ჩუენდა მომართ, ვინაცა იმრთივ შჯულისა წესისა მიერ ესრეთ

- 5 შჯულ-დებულ არს, რათა პირველთა მიერ აღიყვანებოდინ მეორენი საღმრთოთა ხედვათა მიმართ. ქამეთუ არა ხოლო ზეშთა მყოფთა და უქუემოე მყოფთა გონებათათვს ოდენ, არა-ამედ თვთ მისვე და ერთისა დასისა ერთ-მოდასეთათვს ესე შჯული განსაზღვრებულ არს ყოველთა არსებათა უზეშთაესისა წესთ-დასაბამისა მიერ, რათა თითოეულსა შინა დასასა მღდელთ-მთავრობისა მათისასა პირველნიცა და საშუალნიცა და დასასრულისანიცა იყვნენ 15 წესნი და ძალი და უდარესთა უსაღმრთოესნი იგი მესაიდუმლოე და წელის ამპყრობელ ექმნებოდინ საღმრთოსა მიმართ აღყვანებისა და ზიარებისა და გამობრწყინვებისა.

- 4. 7ხედავ უკუე, ვითარმედ საღმრთოსა მასცა 7ესუეს კაცთ-მოყუარებისა საიდუმლო-სა პირველად ცნგელოზნი უწყებულ იქმნეს და ეგრეთლა მათ მიერ ჩუენდა მომართ წიაღ-მოვლო მადლმან მეცნიერებისამან. ქამეთუ ესრეთ საიდუმლოს მომრთუმელობდა 20 საკურველი 7აბრეელ მღდელთ-მთავრისა ზაქარიას მიმართ, ვითარმედ წინააღმდეგ მეტყუელეოფად არს მისვან გარეგან სასოებისა შობადი იგი ტე იმრთივ მომადლებული სახიერების შუენიერებით სოფლის მაცხოვრად გამოჩინებადისა მის მამაკაცებრისა 7ესუეს იმრთის მოქმედებისა(ლკ.1,11-20). ბა კუალად შარიამის მიმართ, ვითარმედ მის შორის ყოფად არს იმერთ-მთავრობითი საიდუმლო უთქუმელისა იმრთის საქმისა(ლკ.1,26-38). ბა კუალად სხუა-მან ცნგელოზმან 7ისებ განსავლა, თუ ვითარ ჭეშმარიტად აღსრულებულ არს(მთ.1,20-23) 25 საღმრთოდ აღთქუმული პირველისა მშობელთა მისთაესა შავითის მიმართ(მეფ.7,12-17). ბა კუალად სხუა ახარებდა მწყემსთა, ვითარცა მრავალთაგან განშორებითა და მყუდროებითა განწმედილთა(ლკ.2,8). ბა იყო მის თანა სიმრავლე მწედრობათა ცისათაა, რომელი-იგი მრავალ საქებელსა მას დიდების მეტყუელებასა მოსცემდეს ქუეყანისათა(ლკ.2,13-14).

- 45 5 ქოლო აღვიხილნე რა ზეშთაკერძოთა მათ მიმართ წერილთა სიტყუებისა ნათელთ საჩინოებათა, ვხედავ, ვითარმედ თვთ 7ესუ, ზეშთაცათა მათ არსებათა ზეშთაარსებისა შიზეზი, რაუამს უქცეველად იმრთებისაგან

ჩუენდა მომართ მოვიდა, არა გარდაჭედების შის მიერ დაწესებულსა მას და განჩინებულსა კაც-შუენიერად კეთილსა წესიერებასა, არამედ კეთილად რწმუნებით დაემორჩილების იმრთისა შამისა ცნგელოზთა მიერთა განწესებათა და შუვა-მდგომელობითა მათითა მიუთხრობს წესებს შამისა მიერ განგებულსა მას წესუღსა გვპოტედ წარსლვასა(მთ.2,13) და კუალად გვპოტით წურიასტანად უკმოქცევასა(მთ.2,19-20). წა ესრეთ მორჩილებითა ცნგელოზთათა ვხე-დავთ შისა შამულის-დებათა ქუეშე

ტავი :3:

ცუ რამსათას ყოველივე გეცათა არსეანი გოგად ცნგელოზ სახელ-იღეაიან

ცუ უკუე არს, რაოდენ ჩუენდა დასატევნელ არს, მიზეზი ცნგელოზებრივისა წერილთა სიტყუებისაგან სახელის-დებისა. ქოლო ან, ვითარ მგონიეს, გამოძიება საქმარ არს, თუ რომლისა მიზეზისათვის იმრთის-მეტყუელნი თანად ყოველთა მათ ზეცისა არსებათა ცნგელოზ უწოდენ. წა კუალად რაჟამს საჩინოებითსა მას მოვიდენ, ზემთასოფლისასა შემკულებასა მათსა, წესად ცნგელოზებრივად თვალისაგან მას სახელ-სდებენ, რომელი-იგი აღმავსებლობით შეასრულებს საღმრთოთა მათ დასთა ზეცისათა და უპირატეს მისა დასდებენ შთავარ-ანგელოზთა შემკულებასა შთავრობათა თანა და ყელმწიფებათა და ტალთა და სხუათა მათ, რაოდენი არიან ამათსა ზეშთალმატებულად არსებად ცნობილნი საჩინოებითთა სიტყუათა მოცემისა მიერ. ზიტყვით უკუე, ვითარმედ ყოველთა მათ წმიდათა წესთა შემკულებასა შინა უზეშთაესთა მათ წესთა ყოველივე აქუს უდარესთა მათ შემკულებათა გამობრწყინვებად და ძალი, ხოლო უქუემონესნი იგი დასასრულისანი ვერ მქონებელ არიან უზეშთაესთა მათ წესთა და პატივსა. ქამეთუ წმიდათა მათ უზეშთაესთა არსებათა დასა ცნგელოზცა უწოდენ იმრთის-მეტყუელნი, რამეთუ არიან იგინიცა გამომაჩინებელ იმერთ-მთავრობითისა გამო-

40

ტავი :3:

ცუ რამ არს აირველი იგი გეცისა არსეანი გემობილებამ, ანუ რამ არს საშუალი, ანუ რამ არს დასასრული

1. ქაბამობისათვს და ვითარებისა ზეშთაცათა არსებათა შემკულებისა და თუ ვითარ სრულ იქმნებიან მათნი იგი მღდელთ-მთავრობანი, მხოლოდ ზედა-მიწევნით ცნობად ვიტყვ განმაღმრთობელისაგან მათისა სრულთ-მთავ-

განწესებულებასა. ზრიდებ თქუმად, ვითარცა მეცნიერი სამღდელოთა მათ მიერ მოცემათა ჩუენდა თხრობილსა ცნგელოზისა მისთვეცა, რომელი-იგი წესუს განაძლიერებდა (ლკ.22,43), 5 ანუ თუ ამას, ვითარმედ თვთ წესოცა, რაუამს ჩუენის ამის ცხოვნებითისა სახიერების მოქმედებისა საჩინოებითსა წესსა მოვიდა, «ცნგელოზ შიდისა წრახვისა» სახელ-ედვა(ეს.9,6). ქამეთუ, ვითარ-იგი თვთ იტყვს ცნგელოზ შუენიებით, რაოდენი ესმა შამისაგან, მოგვთხრა ჩუენ(ინ.8,26-28;15,15).

15 ბრწყინვებისა.

ქოლო დასასრულისასა მას დასასა ზეცისა გონებათასა არა აქუს სიტყუად შთავრობად ანუ საყდრად გინა სერაფიმად სახელის-დებისა, რამეთუ ვერ მქონებელ არს ძალსა უზეშთაესთა მათ ძალთასა, არამედ ვითარ-იგი უქუემონესი დასი ცნგელოზთა, ჩუენთა ამათ საღმრთოთა მღდელთ-მთავართა აღიყვანებს მისდა ცნობილისა მის იმერთ-მთავრობითთა გამობრწყინვებათა სიმაღლისა მიმართ, 25 ეგრეთვე თვთ იგი უპირატესთა მათ მისთა არსებათა ყოველად წმიდისა ძალისაგან აღყვანებულ იქმნების იმრთისა მიმართ, ვითარცა აღმავსებელი ცნგელოზებრთა მათ მღდელთ-მთავრობათა შემკულებისა. ქარნა თუ ესე ვინმე თქუას საზოგადო ყოფად ყოველისავე ცნგელოზთა სახელის-დებისა ყოველითურთი იგი ყოველთა მათ ზეცისა ძალთა, უმაღლესთა და უმდაბლესთა, იმრთის სახეობისა და იმრთისა მიერისა ნათელთ-მოცემისა ზიარებამ. 30 ქარნა რათა უფროობსად ადვილ განსარჩეველ იქმნეს სიტყუად ესე ჩუენი, მოვედით, რამთა სიწმიდით განვიხილოთ სიტყუათა მიერ წერილისათა განჩინებული სიწმიდის შუენიერი თვთებად თითოეულისა ზეცისა წესთა შემკობილებისა. 35 ქარნა რათა უფროობსად ადვილ განსარჩეველ იქმნეს სიტყუად ესე ჩუენი, მოვედით, რამთა სიწმიდით განვიხილოთ სიტყუათა მიერ წერილისათა განჩინებული სიწმიდის შუენიერი თვთებად თითოეულისა ზეცისა წესთა შემკობილებისა.

45 რობისა, ამას თანა და თვთ მათგანცა ცნობასა თვესთა მათ მათთა ძალისა და გამობრწყინვებისასა და მათისა მის ზეშთასოფლისა წმიდისა კეთილად წესიერებისასა. ქამეთუ შეუძლებელ არს ჩუენდა ცნობად საიდუმლოსა მას გონება-

თა ზეშთაცათასა და წმიდათა მათ სრულებათა მათთასა, არათუ სადმე მეთხრას ჩუენ ვისგანმე, ვითარ-იგი იმერთ-მთავრობამან იზიარნა საიდუმლოთა თვესი იგი კეთილად მცნობელნი. 7ინადცა ჩუენ არცა ერთი რა თვემოძრავობით ვთქუათ, რაოდენსა რას ვიტყვთ, არამედ რაოდენი რა დიდთა მათ იმრთის-მეტყუელთა მიერ ცნგელოზებრთა მათ ხედვათათვს იხილვა ამისა მესაიდუმლოე ქმნითა და მათ მიერითა განსწავლითა, ჩუენ, რაოდენ შემძლებელ ვართ, განვაჩინებთ და ვიტყვთ ესრეთ.

2. ყოველთა მათ ზეცისა არსებათა იმრთის-მეტყუელებამან ცხრა უნიდა საჩინოებითითა სახელის-დებითა(იუდ.1,9. ეფ.1,21. კოლ.1,16;2,10). წა ამათ სამობითთა შემკულებათა სამად განცყოფს საღმრთოდ იგი ჩუენი მღდელთ სრულ-მყოფელი.

წა პირველ ყოფად უკუე იტყვს მარადის გარე-მო იმრთისა მყოფთა და უმახლობელესთა შის-თა და პირველ სხუათასა უსაშუვლოდ შეერთებ-

ულად შისა მოცემულთა ჩუენდა სიტყვს მიერ. ქამეთუ წმიდათა მათ საყდართა(კოლ.1,16) და თუალ-მრავალთა და ფრთე-მრავალთა დას-სა, ტერობინ და სერაფიმ წოდებულთა ენისა 5 მიერ ებრაელთასა, ყოველთა ზეშთა მყოფად მომცემს ჩუენ წმიდათა სიტყუათა საჩინოებად უსაშუვლოდა მისთვის მახლობელად იმრთისა დამყარებულებისა. წა ამას სამობითსა შემკულებასა, ვითარცა ერთსა და თანა-მოდასესა, ნამდვლვე პირველად მღდელთ-მთავრობად იტყვს დიდებული წინამძღვარი ჩუენი, რომელ-თათვს განაცხადებს, ვითარმედ არავინ არს სხ-უად ულმრთისამხილველესი და პირველთა მათ იმერთ-მთავრობითთა გამობრწყინვებათა უსა-15 შუვლოდ უმახლობელესი. ქოლო მეორე ყოფად იტყვს ყელმწიფებათა და იფლებათა და ჭალ-თა სავსებასა. წა მესამედ უკუანასკუნელსა მას ზეცათა მღდელთ-მთავრობასა – ცნგელოზთა და შთავარ-ანგელოზთა და შთავრობათა შემ-20 კობილებასა.

ტავი 8:

სერაჟიმთათას და ტერობითა და საჭაროა და აირველისათას გათისა მღდელთ-მთავრობასა

1. 7სრეთ უკუე მივითუალავთ ჩუენ წმიდათა ამათ მღდელთ-მთავრობათა წესა და ვიტყვთ, ვითარმედ ყოველივე იგი ზეცისათა მათ გონებათა სახელის-დებად მოსწავებისა რასმე მქონებელ არს თვესა თითოეულისა იმრთის სახეობისა თვეთებისასა. ქამეთუ წმიდისათვს სერაფიმთა სახელისა იტყვან მეცნიერნი ებრაულისან, ვი-თარმედ ანუ დამწუველად გამოითარგმანების გინა განმაპურვებელად, ხოლო ტერობინი – სიმრავლედ ცნობისა ანუ განფენად სიბრძნისა. 7ინადცა სამართლად უკუე პირველი ზე-ცათა მღდელთ-მთავრობისა დასი უზეშთაესთა არსებათა მემსხუერპლეობს და აქუს მას წესი ყოველთა უმაღლესი უსაშუვლოდ იმრთისა თა-ნა-მახლობელისათვს და უპირატესთა იმრ-თის გამოცხადებათა მისსა მიმართ, ვითარცა უმახლობელესისა უდასაბამიერესად წიაღსლ-ვისათვს.

7ამაპურვებელ უკუე ითარგმანებიან საყ-დარნიცა და განმფენელ სიბრძნისა საჩინოე-ბითითა იმრთის სახეობათა მათთა გუარებისა სახელებითა. ქამეთუ მარადის მოძრავობად მათი და დაუცხრომელობად საღმრთოთა შინა და მქურვალებად და სიმახვლე და ზეშთამდუ-ლარებად შემშტუალვითისა და განუცემელი-

25 სა და მიუდრეკელისა მარადის მოძრავობის-აგან და უქუემოესთა მათ აღმყვანებლობად და მიმსვავებელის მაქმნეველობა, რაღთა იგინიცა აღადულნენ და აღატყინენ მსგავსის-ავე მიმართ მქურვალებისა, მოტყინარებით და ყოვლად დამწუველობით განმწმედელობად და დაუფარველისა და დაუშრეტელისა ქონებად მარადის მასვე ზედაობისად მარადის ნათლის სახეობით და განმანათლებელობისა თვეთობით ყოვლისავე უმბრწყინვალოდა ბნელ-მყოფე-ლობისა განმწდელობით და უჩინო მყოფელობით განცხადებულად მოესწავების სახელისა-გან სერაფიმთასა.

30 ქოლო ტერუვიმთა სახელი განაცხადებს მც-ნობელობასა მათსა და იმრთის მხილველობასა და უზენაესისა მის ნათელთ-მოცემისა შემწყნ-არებლობასა და მხედველობასა პირველითგან მოქმედისა მის ძალისა იმერთ-მთავრობითისა შუენიერებისა და ბრძენ-მყოფელისა მიმცემე-ლობისაგან აღსავსე ყოფასა და უშურველად მაზიარებლობასა შემდგომთა მიმართ განფენი-სა მათდა მინიჭებულისა სიბრძნისასა. ქოლო უმაღლესთა მათ და უზენაესთა დასთა საყდარ წოდებად გულისება-გკყოფს მათთვს ყოვლისავე ფრჩივ მავალისა სურვილისაგან შეურევნე-

ლად აღმატებულებასა, და აღმართისა მიმართ ზეშთასოფლისად აღმავალობასა, და ყოვლისავე უუკუანასკენელობისა მიმართ დაუღონებლად ზეშთააღმაღლებულებასა, და ნამდვლვე ჭეშმარიტად მაღლისა მიმართ ყოვლითა ძალითა შეურყეველად და კეთილად დგომით დამყარებულებასა, და იმერთ-მთავრობითისა მის მათ ზედა მოსლვისა ყოვლითა უვნებელობითა და უნივერტოებითა მიმღებლობასა, და იმერთ-შემოსილებით და მონებრივებით საღმრთოთა მათ შეწყნარებათა მიმართ აღფრინვებულებასა.

2. ეს არს, რაოდენ ჩუენგან დასატევნელ არს, თარგმანებად სახელითა მათთაც. ზეუმოდედ უკუე, თუ რად ვჰგონებთ ჩუენ მღდელთ-მთავრობასა მათსა. ქამეთუ პირ ყოვლისა მღდელთ-მთავრობისა არს იმრთის მსგავსისა იმრთის სახეობისა შემშტუალულობისაგან განუბნეველ ყოფად და განმრჩეველ ყოფად ყოვლისავე მღდელთ-მთავრობითისა მოქმედებისა სიწმიდით მიმღებელ ყოფად და მიმცემელ ყოფად განწმედასა შეურევნელსა და საღმრთოსა ნათელსა და განმასრულებელსა წელოვნებასა, ვითარ-იგი ზემორე ამათ პირთათვს, ვითარ ვჰგონებ, კმა-საყოფელად ითქუა ჩუენ მიერ.

ქოლო ან ღირსებით თქუმად ვილოცავ უზენაესთა მათ გონებათათვს, თუ ვითარ მათი იგი მღდელთ-მთავრობად სიტყუათა მიერ ჩერილთავსა წარმოიჩინების, ვითარმედ პირველთა მათ არსებათა, რომელნი-იგი შემდგომად იმერთ-მყოფელისა მის მათისა იმერთ-მთავრობისა დამყარებულ არიან და რეცა წინაბჭეთა მისთა განწესებულ, რომლითა ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა დაბადებულთა ძალისა ზეშთააღმატებულ იქმნეს, თვისად განკუთნილად მათდა აქუს ყოვლისავე ერთ-სახეობითი საქმე მღდელთ-მთავრობისად.

ჩმიდად უკუე შეირიცხებოდედ იგინი არა-თუ ესრეთ, ვითარცა არა წმიდათა ბიწთა და მწინკულევანებათაგან ოდენ თავისუფალნი, არცა ვითარცა ნივთიერთა ოდენ ოცნებათა მიუღებელნი, არამედ ვითარცა ზოგად ყოვლისა ნაკლულევანებისაგან შეურევნელად ზეშთა აღმაღლებულებანი, და ყოვლისა უდარესისა სიწმიდისა უზეშთაესითა უწმიდესობითა ყოველთავე მათ იმრთის მხილველთა ძალითა ზეშთადამყარებულნი, და თვისისა მარადის მოძრავისა და თვიმოძრავისა იმრთის მოყუარებითისა უქცეველობისა წესისაგან დაუცემელო-

ბისა მქონებელნი და ძკრთა მიმართისა რადმე შემრღუევისა არცალა ყოვლად მეცნიერნი, არამედ მარადის მქონებელნი განუვრდომელობისა და მოუდრეკელობისანი თვისისა მის მათისა 5 იმრთის მხილველობისა შეურევნელთა დგომა-თა სიმტკიცისაგან.

ქოლო კუალად მხედველობასა ვიტყვთ მათ-თვე არათუ ვითარმცა გრძნობადთა სახეთა მიერ მხილველ იყვნეს საცნაურთა, არცა ვი-10 თარმცა თითო-სახეობითა ჩმიდათა ჩერილთა მიერისა ხედვისათა აღიყვანებოდეს იმრთისა მიმართ, არამედ ვითარცა ყოვლისავე უნი-ვთოვსა მეცნიერებისა უმაღლესითა ნათლითა აღვსებულნი და კეთილ მყოფელისა და უდა-15 საბამიერესისა სიკეთისა ზეშთაარსებათა სამ საჩინოება ხედვისაგან, რაოდენ დასატევნელ არს, აღმოვსებულნი და ესუეს ზიარებასა კუალად ეგრეთვე ღირს ქმნულნი არათუ სახეებითა წმიდათ-მაზნიობელთა ხატოვნებათათა 20 გამოისახვენ იმერთ-მყოფელსა მსგავსებასა, არამედ ვითარცა ჭეშმარიტებით მახლობელ ქმნილნი მისნი უპირატესად მიმღებელ არიან იმერთ-მყოფელობითთა მათ ნათელთა მისთა. ცმას თანა თვე მსგავსებაცა იმრთისად უპირატესად მინიჭებულ არს მათდა და ეზიარებიან მათდა დასატევნელითა მით უპირატეს ქმნილითა ძალითა იმერთ-მყოფელთა მათ მისთა და კაცთ-მოყუარებითთა სათნოებათა.

ქოლო კუალად სრულ-ქმნულ უწმოდთ მათ 30 ეგრეთვე, არათუ ვითარმცა თითო-ფერებითა სიწმიდეთათა განბრწყინდებოდეს აღწესითთა წელოვნებათა მიერ, არამედ ვითარცა პირველისა და ზეშთააღმატებულისა განღმრთობისაგან აღსავსე ქმნულთა უზეშთაესითა მით და ვითარ-იგი შეეტყუების წეველობითა განმაღმრთობელობისადთა. ქამეთუ არღარა სხუათა ვიეთმე წმიდათა არსებათაგან, არამედ თვე მის იმერთ-მთავრობისაგან იმღდელთმთავრებიან. შისსა მიმართ 40 აღინილვენ უშუვამდგომლოდ ყოველთა უზეშთაესითა მით ძალითა და წესითა და ყოვლად უბინოვსა და ყოვლად დაუცემელისა საფუძველისა ზედა დამყარებულ არიან; და უნივერტოებასა და საცნაურისა ჩუენებისა შეურევნებასა ხედვად, 45 რაოდენ დასატევნელ არს, აღიყვანებიან; და იმერთ-მყოფელობითთა მათ და წელოვნებითთა სიტყუათა, ვითარცა პირველი და გარემოს იმრთისა მყოფნი, მესაიდუმლო იქმნებიან თვე მის სრულთ-მთავრისა სამღდელთმთავრო ქმ-

ნულნი და მის მიერ საიდუმლოთა მიმღებელ ქმნულნი.

3. ცმას უკუე იმრთის-მეტყუელნი განცხა-დებულად საცნაურ ჰყოფენ, ვითარმედ უქუე-მოესთა მათ ზეცისა არსებათა შემკულებასა უზეშთაესნი იგი კეთილად შემკულებით მას-ნავლელ ექმნებიან იმერთ-მყოფელობითთა მათ წელოვნებათა, ხოლო ყოველთა უმაღლესნი იგი დასნი თვით მის იმერთ-მთავრობისა მიერ მიიღებენ, რაოდენ დასატევნელ არს, საიდუმ-ლოთა გამოპრნებინვებასა. ზა ესრეთ ვიეთნიმე მათგანი შეიყვანებიან უპირატეს სინმიდით მესაიდუმლოე ქმნილთა მათ მიერ მეცნიერ ყოფად. ზითარმედ იფალ ზეცისა ძალთა არს (ფს.23,10;79,20) და შეუფე დიდებისა(ფს.23,10) ზეცად კაცთ-შუენიერებით ამაღლებული ზე, ხოლო ვიეთნიმე უღლონოთა მათ ცნობად თვით მის ზესუსა და ჩუენ თვისისა მის შისისა იმერთ-მოქმედებისა წელოვნებისა სწავლად მოქენეთა დაიმოწაფებენ და ამათ თვით მას ზე-სუს უსაშუვლოდ შემეცნებულნი საიდუმლოთა იზიარებენ და უპირატეს მიცემულსა მას მათ-და კაცთ-მოყუარებისა შისისა სახიერების მო-ქმედებასა გამოუცხადებენ. ქამეთუ თქუმულ არს: «მე ვეტყოფი სიმართლესა და მშჯავრსა ცხორებისასა»(ეს.63,1).

ხოლო დამიკვრდების, ვითარ ზეცისა მათცა არსებათა უპირველესნი და რაბამ რამე ყოვ-ელთასა ზეშთააღმატებულნი იმერთ-მთავ-რობითთა მათ გამოპრნებინვებათა მიმართ, ვითარცა შუვაგან მფრინველნი, ეგრეთ კრძა-ლულებით მოსურნე არიან. ქამეთუ არათუ თა-ვით თვესით იკითხვენ: «რასათვე მენამულ არ-იან სამოსელნი ჟენნი?»(ეს.63,2), არამედ პირვე-ლად თავთა თვესთა შინა უღლონ არიან ცნობად და გამოეძიებენ, რომლითა თანად ამას ცხად ჰყოფენ, ვითარმედ მოსწავლეობენ და იმერთ-მყოფელისა მეცნიერებისა მიმართ მოსურნეო-ბენ, ხოლო არავე შეჰკადრებენ ზეშთავლდომად საღმრთოებასა მის მათდა წინა-გამომავლობით მოცემულისა ბრნებინვებისაგან.

ზერეთ უკუე პირველი იგი ზეცისათა მათ გონებათა მღდელთ-მთავრობად თვით მის სრ-ულთ-მთავრობისაგან იმღდელთმთავრების და მისა მიმართ უსაშუვლოდ აღპყრობითა ყოვლად წმიდისა მის სინმიდის განუძღომე-ლითა ნათლითა და დიდებულითა სინმიდითა პირველითგან სრულისა მისგან სრულთ-მოქ-მედისა შესატყვსად თვესა აღვსებული განწმ-

დების და განათლდების და სრულ იქმნების, შეურევნელ ყოვლისაგანვე ნაკლულევანებისა, აღსავსე პირველისაგან ნათლისა და პირველ მიცემულისაგან მეცნიერებისა და წელოვნებისა 5 მიმღებელობით სრულ-ქმნილი. ხოლო ამისი-ცა შემოკლებით თქუმად არავე უჯერო იყოს, ვითარმედ განწმედა არს და განათლება და სრულება თვით იმერთ-მთავრობითისა მის წე-ლოვნებისა იგი მიმღებელობად, ვითარცა გან-10 მწმედელი უმეცრებისაგან წესისაებრ მიცემითა უსრულესთა საიდუმლოთა მეცნიერებისათა. ხოლო განანათლებს საღმრთო იგი მეცნიერე-ბად მითვე, რომლითაცა განსწმედს ან ჩუენები-თა მისითა, რომლისა პირველ ვერ მხილველ 15 იყვნეს უმაღლესთა ამათ გამოპრნებინვებათა. ზა კუალად მითვე ნათლითა სრულ ჰყოფს მდ-გომითი-მდგომოთა წელოვნებითა უსაჩინოესთა საიდუმლოთავთა.

4. ზე უკუე არს, ჩემისაებრ წელოვნებისა, 20 პირველთა მათ ზეცისა არსებათა შემკობილე-ბად გარემო იმრთისა (ფს.75,12. ეს.6,2. გამც.7,11) უსაშუვლოდ მდგომი და მარტივად და მიუწ-დომელად გარე-მომვლელი საუკუნოთა მათ მეცნიერებათა მისთა უზენაესითა მით, ვი-25 თარ-იგი ცნგელოზთა შეჰკავს მარადის მოძ-რავითა დამყარებითა. ძრავალთა უკუე და ნე-ტართა მხედველ არს წმიდათა ხედვათა, ხოლო მარტივად და უსაშუვლოდ გამოუპრნებინდებიან კამკამებანი და აღიგსების საღმრთოეთა საზრ-დელითა მრავლითა უკუე უპირატეს მოცემუ-ლითა მოფენითა, გარნა ეგრეთცა ერთითავე და უთვოთოფეროვთა და ერთ-მყოფელითა იმერთ-მთავრობითისა საინაჭისა ერთობითა. ზინაზცა მრავალსა ზიარებასა და თანა-მოქ-30 მედებასა იმრთისასა ღირს ქმნულ არს მისა მიმართითა, რაოდენ მისანდომელ არს, მს-გავსებითა კეთილთა გუართა და მოქმედება-თავთა, რომლითა მრავლობით და უზეშთაესო-ბით მეცნიერ არს იმრთისა და იმერთ-მთავ-40 რობითსა მას წელოვნებასა და მეცნიერებასა ჯეროვნებით მიმღებელ ქმნულ არს, ვინაზცა ამათ მეცნიერ გაღობად მოუცემიეს იმრთის- მეტყუელებასა ქუეყანისათადა, რომელსა შინა ღირსებით გამოჩნდების უზეშთაესობად მათთა 45 მათ გამოპრნებინვებათად.

ქამეთუ რომელნიმე მათგანი გრძნობადად თქუმითა, ვითარცა წმად ნებალთად(ეზეკ.1,24. გამც.19,6), ღაღადებენ: «კურთხეულ არს დიდე-ბად იფლისად ადგილით შისით»(ეზეკ.3,12),

ხოლო რომელნიმე მრავალ საგალობელსა მას და სამსახურებელსა წმობენ იმრთის-მეტყუელებასა: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს იფალი საბაოთ, სავსე არს ყოველი ქუეყანა და დიდებითა შისითა»(ეს.6,3). ესე უკუე ზეშთაესნი ზეშთაცათა გონებათა ქების-მეტყუელებანი აპა ეგერა «საღმრთოთა ქებათა» შინა აღგვესნიან, რაოდენ მისაწდომელ არს ჩუენდა, და მათ შინა თქუმულ არს ჩუენგან, რაოდენ ჩუენდა კმა არს, რომელთა მოსაქსენებელად კმა არს გამოჩინებად ესოდენი თქუმად აწინდელსა ამას უამსა, ვითარმედ იმრთის-მეტყუელებითი რა ჯელოვნებაა, რაოდენ დასატევნელ იყო, გამოუბრნებინდა პირველსა მას შემკობილებასა იმერთ-მთავრობითისა სახიერებისაგან, ესე-ვითარცა სახიერების სახემან მღლელთ-მთავრობამან შემდგომთაცა თვეთა მისცა შემდგომად თვესაა, რათა მოკლებით თქუმითა ამისითა ძლუანებული ზეშთასამსახ-

ურებელსა მას და ზეშთაკეთილად საქებელსა და ყოვლად კეთილად ქებულსა იმერთ-მთავრობასა ჯეროვნად მაკურთხეველ იყოს, რაოდენ დასატევნელ არს უწყებითა და ქებითა იმრთის შემწყნარებელთა მათ გონებათავთა. ქამეთუ ესე არიან ვითარცა იმრთის მხილველნი საღმრთონი ადგილი იმერთ-მთავრობითისა, ვითარცა საღმრთონი სიტყუანი იტყვან, განსუენებისანი. რა რამეთუ პირველობა არს და ერთობა სამ-გუამოვანი იგი და ზეშთაცათა არსებათაგან, ვიდრე კიდეთადმდე ქუეყანისათა განეფინების სახიერებად შისი ყოველთა ზედა მყოფითა მით ნინა-განგებითა, ვითარცა ყოვლისავე არსებისა ზეშთადასაბამისა წასაბამი და შიზეზი და ყოველთავე ზეშთაარსებისა უთუსოეთა შეცვითა მპყრობელი და გარე-შემცველი.

ტავი ჭ:

0 შლახათათვა და ტალთა და ყალბითა და სამიალისა მის გამია მღლელთ-მთავრობისა

1. ზეცვალებლობდეთ ჩუენ ან საშუალისა მიმართ ზეცვისათა მათ გონებათა შემკობილებისა იფლებათა მათ მიმართ, რაოდენ დასატევნელ არს, ზეშთასოფლისათა თუალითა მიხედვითა და ნამდვლვე ძლიერთა მათ სახილველთა საღმრთოთა ყელმწიფებათა და ტალთა მხილველობითა, რამეთუ თითოეული ზეშთა ჩუენისა იგი არსებათა სახელის-დებად იმრთის მსგავსისა მის მათისასა აჩუენებს იმრთის სახესა თვეთებასა. ქამეთუ წმიდათა მათ იფლებათა იგი საჩინოებისა მიერი სახელის-დებად, ვითარვებონებ, ამას ცხად ჰყოფს მათგა დაუმონებლობასა რასმე და ყოვლისავე ფრჩივ მავალისა სურვილისაგან თავისუფალსა აღმყრობილებასა და ვითარმედ არცა ერთითა რათ მძლავრობითა უმსგავსოთათა და ყოვლად არცა ერთითა რათ სახითა მიდრების მათი თავისუფლების შეენიერებად, ვითარცა ულიქნო იფლებად ყოვლისავე შემამრლუეველისა და დამამონებელისა უზეშთაესთასა მას ყოვლისა მიმართ სურვილისა განუცემელობასა და ყოვლისავე უმსგავსოებისაგან აღმაღლებულებასა მათსა, რომელი-იგი ნამდვლვე ჭეშმარიტისა მის იფლებისა და იფალთ-დასაბამობისა მიმართ სურვილის არიან ყოვლად მიუდრეკელად და მისისა მას საუფლოსა და საკუთარსა ხატებასა, რაოდენ დასატევნელ არს, გამოჰსახავენ თავთა თვეთა ზედა და შემდგომთაცა მათთა ზედა სახ-

იერების შუენიერითა მსგავსებითა. ქამეთუ არარავს ცუდ-საგონებელთაგანისა, არამედ ქომელი-იგი საკუთრებით ყოველთა იფალ არს, ყოვლითურთ შისსა მიმართ მიიქცევიან და იფალთ-დასაბამითისა მის სახიერების სახეობისა მარადის ძალისაებრ მიმღებელ იქმნებიან.

ქოლო წმიდანი იგი ტალნი წულებრსა რასმე და შეურყყეველსა სიმწნესა ყოვლისავე მის მათისა იმრთის სახისა მოქმედებისასა არცა ერთისა-ალა რას უმწნო მყოფელისა და მომაუძლურებელისა მიმართ მისდრეკენ, რომლითამცა ვერ შემძლებელ იყვნეს შეწყნარებად მიფენილისა მას მათ ზედა ბრწყინვალებასა იმერთ-მთავრობითსა ძალისაებრად იმრთის მსგავსებად აღმყვანებელსა. ქამეთუ არარავ დაუტევებიერ მათ შორის უმწნობად იმრთის მხილველობითსა მას მოძრავობასა მათსა, არამედ მიუდრეკელად მიხედვენ ზეშთაარსებისა მას ძალ-მყოფელსა და ამისდა ხატად ძალისაებრ ძალისა სახე იქმნებიან და მისსა მიმართ, ვითარცა ძალთ-დასაბამისა, ძლიერებით მიიქცევიან, ხოლო მეორეთა მიმართ ძალ-მცემელობით და იმრთის სახეობით ნინა-განმავლობენ.

ქოლო წმიდათა მათ ყელმწიფებათა დასითანა-მოდასე არს წმიდათა მათ იფლებათა და ტალთავ კეთილითა წესიერებითა შეურევნელისა და კეთილად შემკობილისა საღმრთოთა ნიჭთა შეწყნარებელობისათა და დაწესებულსა

მას მისდა ზეშთასოფლისა საცნაურსა წელმწიფებასა არა მძლავრობითითა რაღომე ძალითა წელმწიფებისათა იქუმევს უდარესთა ზედა, არამედ დაუყენებელად კეთილად წესიერებით აღიყვანების საღმრთოთა მიმართ და შემდგომთა მისთა სახიერების სახით აღიყვანებს წელმწიფებათ-მოქმედისა წელმწიფებათ-დასაბამისა მიმართ, რაოდენ დასატევნელ არს, მიმსგავსებად და ამას, რაოდენ შესაძლებელ არს, ცნგელოზთა მიერი გამოპრნყინვებად შემდგომთა მისთა კეთილად შემკობილთა წესთა წელმწიფებითითა ძალითა გამოუპრნყინვებს.

7სე ვითარნი უკუე თვთებანი ჰქონან იმრთის სახესა მას საშუალსა ზეცისა გონებათა შემკობილებასა და განწმდების და განათლდების და სრულ იქმნების მითვე ზემოთქუმულითა სახითა იმერთ-მთავრობითთაგან გამოპრნყინვებათა, რომელი მეორედად მიეცემიან მას პირველისა მისგან მლდელთ-მთავრობითისა შემკულებისა და შუვამდგომელობითა მისითა მეორ-საჩინოდ ამისდა მომართ წიაღ-მოსლევითა.

2. ზინადცა სხვა მიერ თქუმულისა სიტყვასა მოსლვად სხვა ცნგელოზისა სასმენელთა სახე ვიყოთ ჩუენ შორით სრულ-ყოფისა და წინა-გამომავლობისა მიერ უწულილესისა მეორედად სრულქმნისა. ქამეთუ, ვითარ იგი ბრძნი და გამოცდილი სრულ მყოფელი ჩუენისა ამის სამლდელოსა წესისანი იტყვან, ვითარმედ იგინი უსრულეს არიან, რომელთა თვთგა-მოცხადებით მიეღოს საღმრთო აღსავსებად უფროს მათსა, რომელი სხუათა მიერ იმრთის მხილველთა მიიღებდენ მას. 7სრეთვე ვჰგონებ მე ცნგელოზთა წესთავსა მისთვის უსაშუალოსა მიმღებელობისა უპირატეს იმრთისა მიმართ მიმწოდებელთა მათ უმოქმედეს ყოფად, უფროს შუვა-მდგომელობისა მიერ სრულ-ქმნულთა მათსა.

7ინადცა სამლდელოსა მოცემისა ჩუენისა მიერ სრულმყოფელად და ნათლის მომცემელად და განმწმედელად ძალად უდარესთა მათ უპირატესი იგი გონებანი სახელ-იდებიან, ვითარმცა მათ მიერ ესენი ყოველთა არსებათა უზეშთაესისა მის დასაბამისა აღიყვანებოდეს და სრულთ-დასაბამითსა განწმედასა და განათლებასა და სრულებასა დატევნებისაებრ მათისა მიმღებელ იქმნებოდეს. ქამეთუ ეს არს იმრთივ შუენიერად შჯულ-დებულ ყოველად საღმრთოთა მათთვის წესთა-მთავრობათა, რაღოთა მეორნი პირველთაგან მიიღებდენ იმრთ-მთავ-

რობითთა გამოპრნყინვებათა და ეს მრავლით კერძო თქუმულად პპოო იმრთის-მეტყუელთა მიერ.

